ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება	იმკ+
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	შპს
საიდენტიფიკაციო კოდი	202454673
მისამართი	ქ.თბილისი ჩაჩავას ქ.8 თეთეილოია,
საქმიანობის დარგი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

	31.12.2018წ.	31.12.2017წ.
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	185,939	165563
სავაჭრო მოთხოვნები	154565	423664
გადახდილი ავანსები		
მარაგები	363159	491212
-მზა პროდუქცია	363159	491212
-სხვა		
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	467	2201
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	5954	7430
ძირითადი საშუალებები	24270	28242
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	734354	1118312
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	97355	338467
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	6258	1301
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		31950
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	103613	371718
საკუთარი კაპიტალი	200	200
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	630541	746394
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვი		
სულ საკუთარი კაპიტალი	630741	746594
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	734354	1118312
	0	0

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საწარმოს დასახელება	*იმკ+*
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	*შპს*
საიდენტიფიკაციო კოდი	*202454673*
მისამართი	*ქ.თბილისი ჩაჩავას ქ.8*
საქმიანობის დარგი	*მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შინობების*

ლარი

	2018 წ.
ნეტო ამონაგები	2381526
- საქონლის გაყიდვიდან	2381526
- მომსახურების გაწევიდან	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
- სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2031034
- საწყისი მარაგები	-491212
- მარაგების შესყიდვა	-1902981
- გადამუშავების დანახარჯები	
- საბოლოო მარაგები	363159
საერთო მოგება	350492
სხვა შემოსავალი	906
დასაქმებულთა ანაზღაურება	-115725
ცვეთა/ამორტიზაცია	-10845
იჯარის ხარჯი	-14681
საპროცენტო შემოსავალი	
საპროცენტო ხარჯი	-1442
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-112696
სულ საოპერაციო ხარჯები	-254483
საოპერაციო მოგება	96009
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	

მოლოდინული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	96009
მოგების გადასახადი	-2229
მოგება/ზარალი	93780
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	93780
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	746594.0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-209633
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	630741.0

საკონტროლო ციფრი ანუ 2018 წლის ზრალი ორისით

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის

საწარმოს დასახელება	იმკ+
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა	შპს
საიდენტიფიკაციო კოდი	202454673
მისამართი	ქ.თბილისი ჩაჩავას ქ.8
საქმიანობის დარგი	მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი

	ლარი
	31.12.2018წ.
საოპერაციო საქმიანობა	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3053108
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2682174
სხვა	1396
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	372330
გადახდილია ბიუჯეტში	-119796
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	252534
საინვესტიციო საქმიანობა	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	0
ფულადი სახსრების გასვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან	
მიღებული პროცენტი	
მიღებული დივიდენდები	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	0
საფინანსო საქმიანობა	
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	10510
საკუთრების გადაცემის პირობის მქონე იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების გადახდა	
სასესხის ძირის გადახდა	-42460
სესხის პროცენტის გადახდა	-1057
დივიდენდების გადახდა	-199150
საკურსო სხვაობა	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-232157
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	20377
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	**165562**
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**185939**

დირექტორი

მთ.ბუღალტერი

შპს

„ჯიტეკი“

ფინანსური ანგარიგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ქ. თბილისი

2018წ

შინაარსი:

1. ფინანსური შედეგების ანგარიშგება

2. სრული შემოსავლის ანგარიშგება

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წლებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **<u>ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.</u>** ვერ დგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებულ ბაზარზე დაყრდნობით, ისინი დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკით და მსჯელობით.
- **<u>ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.</u>** ძირითად საშუალებებზე და aრამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ ამორტიზაციის დარიცხვისას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელების შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას.
- **<u>გადასახადები</u>** კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს საგადასახადო შემოწმებისას შესაძლო ჯარიმებისა და საურავების დარიცხვის რისკები, თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული გაანგარიშებები ადეკვატურია ყველა არაუდირებული წლისათვის, მაგრამ საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული მუხლების ინტერპრეტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო შემოწმებისას გარკვეული დამატებითი საგადასახადო ვალდებულება

- **<u>სასამართლო დავები.</u>** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მხოლოდ მიმდინარე ვალდებულება ან მოთხოვნა წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, როცა მოსალოდენელი ეკონომიკური სარგებლის გადაცემის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ისეთ შემთხვევაში, როცა ეს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შესაძლოა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანია განიხილავს არსებულ სასამართლო საქმეებს იმ მიზნით, რომ შეაფასოს ფიანანსურ ანგარიშგებაში გასათვალისწინებელი აუცილებელი გარემოებები და პოტენციური მოსალოდნელი ზარალის ოდენობა, რისთვისაც ხელმძრვანელობა განიხილავს იურიდიული მრჩევლების მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ეფუძნება ამგავრ საქმეების წარმოების გამოცდილებასა და კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილება დავაზე, საჩივარსა და გარჩევაზე რეაგირების შესახებ.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამადებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ დადგენილი და გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მიხედვით. ფასებზე გადასვლის თარიღს წარმოადგენს 2017 წლის 01 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებს, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“)

ფუნქციონირებადი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანსაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922	3.1044
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766	3.0701

ფინანსური ინსტრუმენტები

<u>თავდაპირველი</u> <u>აღიარება</u> საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე მხარე.

<u>აქტივების</u> <u>თვითღირებულება</u> არის აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხა

<u>ამორტიზებული</u> <u>ღირებულება</u> არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღაირებული იყო თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხების გამოკლებით ,

მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ. საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის გარეშე
- არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გამო.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულების აღიარებას, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება იფარება, უქმდება ან ვადა გასდის.

კომპანია დაფარულ ან სხვა მხარისათვის გადაცემულ ფინანსურ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ კომპენსაციის თანხას შორის (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების ჩათვლით) სხვაობას ასახავს მოგება-ზარალში,

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადარფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არის კანონიერი უფლება , რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით, საეჭვო ვალების რეზერვის გამოკლებით. მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საეჭვო ვალების რეზერვი.

მოვალეების უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალებები აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა,
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერები და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

<u>არამატერიალური აქტივები</u>

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამა	5

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უნცირესი თანხით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს , რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით

კომპანია წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენს მარაგების შეფასებას გაუფასურების დადგენის მიზნით და შედეგს აღიარებს გაუფასურების ზარალში.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

საწარმოს ვალდებულება არის მისი მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსულ მოვლენების შედეგად და რომლის დასაფარად მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა საწარმოდან. სავაჭრო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, შემდგომ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

საპენსიო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზრაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით აღრიცხვას.

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენები მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა (მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგები

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონელის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალის აღიარება ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი, კერძოდ თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურეობაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელის არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებლია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის ღიარების მოთხივნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

საოპერაციო იჯარის დროს საიჯარო გადასახდელები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ხარჯის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს მარაგების თვითღირებულების ფორმირებაში.

იჯარის ვადა არის კონტრაქტით გათვალისწინებული ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულია აქტივის იჯარა, დამატებული ნებისმიერი ისეთი შემდგომი პერიოდი, რომლისთვისაც , მეიჯარეს აქვს შესაძლებლობა , რომ იჯარა გაგრძელოს და იჯარის დასაწყისისათვის არსებობს რწმუნება იმისა რომ მეიჯარის მიერ ეს უფლება იქნება გამოყენებული.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიის, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგელობის დროს.

ვინაიდან საწარმოს საერიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ქ.თბილისი

2018წ

შენიშვნა 1

ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ამონაგები რეალიზაციიდან	2,381,526	4,143,029
2	საკურსო სხვაობიდან	906	-
	ამონაგები მიწოდებიდან	**2,382,432**	**4,143,029**

შენიშვნა 2

შესრულილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ელ.წერტილის ხარჯი	13,609	7,463
2	საოფისო ხარჯი	14,681	13,294
3	კომუნალური ხარჯი	1,294	1,909
4	კომუნიკაციის ხარჯი	1,208	3,114
5	საკურსო ხარჯი	-	1,763
6	საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	-	2,258
7	აპროცენტო ხარჯი	1,442	2,129
8	შრომის ანაზღაურების ხარჯი	115,725	130,459
9	სხვა ხარჯები	109,659	152,929
	ჯამი:	257,618	315,318

შენიშვნა 3

სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	-	-
2	სხვა ხარჯები		
	ჯამი:	0	0

შენიშვნა 4

წინა პერიოდის შეცდომების შესწორება

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში		
2	ცვლილება წინა პერიოდის ხარჯებში		
	ჯამი:	0	0

შენიშვნა 5

პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში	746,394	323,270
2	ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში და ხარჯებში	209,633	96,841
3	მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	93,780	519,965
	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	**630,541**	**746,394**

შენიშვნა 6

ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	118,015	14,617
2	ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა	6,948	2,486
3	ფული სალაროში	60,976	148,460
	ჯამი:	**185,939**	**165,563**

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	154,565	423,664
2	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება		
3	სხვა მოთხოვნები		
	ჯამი:	**154,565**	**423,664**

შენიშვნა 8

საგადასახადო მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
3	დღგ	6,227	1,301
4	ქონების გადასახადი	31	
	ჯამი:	**6,258**	**1,301**

შენიშვნა 9

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	491,212	212734
2	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	**363,159**	**491,212**

შენიშვნა 10

ძირითადი საშუალებები

(ლარი)

	დასახელება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოფისის აღჭურვილობა	ა/მ	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის კეთილმოწყობა	კომპიუტერული ტექნიკა	სულ
	საწყისი (იმპორტული) ღირებულება				149		11297	3444	12790	27680
	ნაშთი: 31.12.2016				149		11297	3444	12790	27680
	იმპორტის მოგება					18150	1144		1231	
	იმპორტის გასვლა									
	ნაშთი: 31.12.2017	0	0	0	149	18150	12441	3444	14021	48205
	იმპორტის მოგება						109	103	3583	3795
	იმპორტის გასვლა									0
	ნაშთი: 31.12.2018	0	0	0	149	18150	12550	3547	17604	52000
	აღიარებული ცვეთა									
	ნაშთი: 31.12.2017	0	0	0					0	
	ცვეთის დარიცხვა				30	3630	7423	516	8364	19963
	ცვეთის ჩამოწერა									0
	ნაშთი: 31.12.2018	0	0	0	30	3630	7423	516	8364	19963
	ცვეთის დარიცხვა				4.9	3025	1025	20	3692	7766.9
	ცვეთის ჩამოწერა									0
	ნაშთი: 31.12.2018	0	0	0	34.9	6655	8448	536	12056	27729.9
	საბალანსო ღირებულება									
	სნდ-31.12.2016	0	0	0	149	0	11297	3444	12790	*27,680*
	სნდ-31.12.2017	0	0	0	119	14520	5018	2928	5657	*28,242*
	სნდ-31.12.2018	0	0	0	114.1	11495	4102	3011	5548	*24,270*

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 11

არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	აქტივის დასახელება	ნაშთი	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი
	შეძენის ღირებულება				
1	საბუღ. პროგ. „ბალანსი"	5440	0	0	5440
2	სხვა არამატ.აქტივი	3574	0	0	3574
	ჯამი	9014	0	0	9014
	ამორტიზაცია	ნაშთი	დარიცხვა	ჩამოწერა	ნაშთი
1	საბუღ. პროგ. „ბალანსი"	0	906	0	906
2	სხვა არამატ.აქტივი	1584	570	0	2154
	ჯამი	1584	1476	0	3060
	საბალანსო ღირებულება	7430		0	5954

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივიები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

შენიშვნა 12

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი	ნაშთი
1	სავაჭრო ვალდებულებები	97,355	338,467
	ჯამი:	97,355	338,467

შენიშვნა 16

გრძელვადიანი სესხი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი	ნაშთი
1	პროკრედიტ ბანკი-საკრედიტო ხაზი	-	31,950